

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

რ ა ი ს ა ქ ა რ ა ი ა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

მცენარეული რესურსების გენოფონდის

აფხაზეთის ნ. ვავილოვის სახელობის

სამეცნიერო-კვლევითი

ცენტრი

თბილისი, 2010 წელი

უაკ (UDC) 061.62;632

ქ-24

შედგენილია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ა. ფოგელის მიერ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისათვის 1992წ. მომზადებული მოხსენების საფუძველზე.

მთავარი რედაქტორი:

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მ. კვაჭანტირაძე

რედაქტორი:

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი ი. ჭანიშვილი

რეცენზენტები:

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზ. ლომთათიძე

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ი. კაპანაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლ. ჯიქია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნ. სახეიშვილი

ISBN 978-9941-0-2542-6

1991-1992 წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მემცენარეობის ნ. ვავილოვის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ВНИИРа) სუბტროპიკული კულტურების სოხუმის საცდელი სადგურის ბაზაზე შეიქმნა – მცენარეული რესურსების გენოფონდის აფხაზეთის ნ. ვავილოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა და, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტები, შევიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში.

ეს იყო აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომისწინა პერიოდი და თანამშრომლებისათვის, ისევე როგორც სრულიად აფხაზეთის მოსახლეობისათვის, ძალიან მძიმე ყველა თვალსაზრისით – ეკონომიკური, მორალური, ფიზიკურიც კი. მიუხედავად ამისა, მთელი ომის პერიოდი ცენტრს მუშაობა არ შეუწყვეტია. პირიქით, უფრო შემართულად და მეტი მონდომებით გააგრძელა საქმიანობა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებისა და სოფლის მეურნეობის აკადემიის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა დარჩენილი თანამშრომლების შენარჩუნება, ხელფასებით მათი უზრუნველყოფა და თემატიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულება.

1992-1993 წლების ზამთარი საკმაოდ მკაცრი იყო სუბტროპიკული კულტურებისათვის და განსაკუთრებით ციტრუსოვნებისათვის, მაგრამ კოლექტივი, ინტენსიური დაბომბვების პირობებშიც კი, ოპერატიულად ახერხებდა როგორც ზამთრის, ასევე დაბომბვების შედეგად დაზიანებულ მცენარეებზე გასხვლა-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამდენად, მიუხედავად ომის პერიოდის სიძნელეებისა, ცენტრალურ ნაკვეთზე თავმოყრილი კოლექციების არც ერთი ნიმუში და სელექციური მასალის არც ერთი ფორმა არ დაკარგულა, რასაც ვერ ვიტყვით ომის შემდგომ პერიოდზე.

სამწუხაროდ, დიდი რუდუნებით მოგროვილი და შენახული მცენარეული რესურსების მსოფლიო კოლექციის აბსოლუტური უმრავლესობა ომის შემდეგ განადგურდა, სელექციური მასალა ამოძირკვა და იქ სამეურნეო ნარგაობა გაშენდა.

სოხუმიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად ცენტრში ძველი თანამშრომლები, არამარტო ქართველები, საერთოდ ცოტა ვინმე თუ დარჩა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფაქტიურად ჩაკვდა.

თუ არა და. . .

მცენარეული რესურსების გენოფონდის აფხაზეთის ნ.ი. ვავილოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო ყველაზე მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია კავკასიის შავიზღვისპირეთის სუბტროპიკულ ზონაში. აქ იყო თავმყოფრილი მცენარეული რესურსების უნიკალური კოლექცია – მწვანილით დაწყებული, სუბტროპიკული და ტროპიკული კულტურებით დამთავრებული. იგი შეიქმნა 1926 წელს აკადემიკოს ნ.ი. ვავილოვის ინიციატივითა და საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, როგორც მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის (ВИП) სოხუმის განყოფილება. 1927 წელს მას ეწოდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინტროდუქციული სანერგე. აფხაზეთში ადგილის შერჩევა განპირობებული იყო შავიზღვისპირეთის ტენიანი სუბტროპიკების ყველა ზონისათვის დამახასიათებელი კავკასიის ტიპობრივი კლიმატითა და ნიადაგით, ასევე სუბტროპიკულ კულტურათა მოშენების პერსპექტივის ფართო შესაძლებლობებით, ვიდრე აჭარასა და კრასნოდარის მხარეში.

კავკასიის შავიზღვისპირეთის ხელსაყრელმა ნიადაგობრივ-კლიმატურმა პირობებმა შესაძლებელი გახადა კულტურაში დანერგულიყო მრავალი სუბტროპიკული მცენარე ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან, სადაც კლიმატური პირობების გარკვეული მაჩვენებლები მიახლოებულია ჩვენებურთან. ეს მცენარეები არამარტო იზრდებიან და მსხმოიარობენ, ამავე დროს იძლევიან უხვ ნაგერალს, რაც მეტყველებს სახეობების, ფორმათა და ჯიშთა შეგუების მაღალ ხარისხზე გავრცელების ახალ პირობებში.

ინტროდუქციულმა სანერგემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაშიც, რომ ჩვენს ქვეყანაში შედარებით მოკლე დროში შეიქმნა მემცენარეობის სრულიად ახალი დარგი – სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. აქ მეორე სამშობლო იპოვა სუბტროპიკული ფლორის მრავალმა წარმომადგენელმა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან – ჩაის მცენარემ, ბამბუკმა, ზოგიერთმა სახეობამ და გვარმა *Aurantiodeae*-ს ქვეოჯახიდან, კამფორის და ცრუკამფორის დაფნამ, ლაქის ხემ, იაპონურმა კრიპტომერიამ, იაპონურმა მარაოსებრმა პალმამ; ხმელთაშუაზღვისპირეთიდან – ოლეანდრამ, ქვის მუხამ, კორპის მუხამ, ფიჭვმა, იტალიურმა ფიჭვმა, დაბალმა ხამეროპსმა; ავსტრალიიდან ევკალიპტის ბევრმა სახეობამ, ვერცხლისფერმა აკაცამ; სამხრეთ ამერიკიდან – ფეიჰოამ, პალმებმა, დიდებულმა იუბეამ; ჩრდილო ამერიკიდან – ბუციის სახეობებმა, მისი სამხრეთ შტატებიდან – კარიამ, მარადმწვანე სეკვოიამ, მსხვილნაყოფა კიპარისმა და პალმებმა.

ინტროდუქცია ხორციელდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სოხუმის სანერგის ფართო კორესპონდენტული კავშირების გზით, ასევე ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში მოწყობილი მრავალრიცხოვანი ექსპედიციების საშუალებით. 1927-1934 წლებში აკადემიკოს ნ. ვავილოვის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიციები: ნ.

ვულფის – ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში; ს. ბუკასოვისა და ს. იუზეპჩუკის – მექსიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში; ე. სინსკოის – იაპონიაში; ვ. მარკოვიჩის – ინდოეთში, ცეილონში და იავაში; ნ. ვავილოვის – ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ჩინეთში, იაპონიაში, ირანში, ერაყში, ეთიოპიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში და სხვ.; გ. შლიკოვის – იტალიაში, საფრანგეთში და ალჟირში. 1931-1935 წლებში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიის გამოკვლევა და ადგილობრივი ველური ხეხილოვანი, ეთერზეთოვანი, მთრიმლავი, სამკურნალო და დეკორატიული მცენარეების მოზიდვა მათი შემდგომი შესწავლისა და წარმოებაში გამოყენების მიზნით. 1936-1947 წლებში განხორციელდა ექსპედიციის მეორე სერია – გ. შლიკოვისა და მ. კაპცინელის – იაპონიაში; ა. ზარეცკის – თურქეთში; მ. კაპცინელის – ესპანეთში; მ. ტაბლიაშვილის, ლ. ყანჩაველის, ა. გოგიბერიძისა და ნ. გამყრელიძის – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში.

1926 წელს მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის განყოფილებამ მუშაობის გასაშლელად ქ. სოხუმთან ახლოს მიიღო 30 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც ადრე ნ. სმიცკოის კუთვნილება იყო. ამასთან, დამატებით მას კიდევ გადაეცა ბობრინსკის, კოდობოვისა და რუკანიშნიკოვის ყოფილი სამფლობელო, დაახლოებით 30 ჰა, სადაც ძირითადად დაირგა მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეები.

ახლად ინტროდუცირებული კულტურების განთავსება, მათი წარმოშობიდან გამომდინარე, ხდებოდა სპეციალურად გამოყოფილ ფიტოგეოგრაფიულ ნაკვეთებზე: იაპონო-ჩინური, ჰიმალაის და ჩრდილო-ამერიკული. ფართოდ გაშლილი ინტროდუქციული მუშაობა ითხოვდა ახალ ფართობებს ციტრუსოვანთა, ხეხილის, ტექნიკურ და სხვა კულტურათა ახლად მიღებული მასალის განსათავსებლად. ამიტომ 1928 წელს გულრიფშის რაიონში, 12 კმ-ში ქ. სოხუმიდან, დამატებით გამოეყო ნაკვეთი (კუკსის ყოფილი სამფლობელო) 35 ჰა მიწის ფართობით.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის განყოფილების პირველი დირექტორი იყო პროფესორი ნ. კოსტეცკი, 1930 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა ნ. სავჩენკო, 1934 წელს – მ. კონსტანტინოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა დიდი სამამულო ომის ბოლომდე; შემდგომი წლები ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები: ა. გოგიბერიძე 1945-1965 წწ., მ. ბლაჟბა 1965-1975 წწ., გ. ხვატიში 1975-1992 წ.წ., და ყველაზე მძიმე – აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში, 1992-1993 წწ. რ. ქარაია.

1934 წ. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ინტროდუქციული სანერგის ბაზაზე ყოფილი სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტენიანი სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სელექციური სადგურის ორგანიზებასთან დაკავშირებით, მას დამატებით გამოეყო 60 ჰა მიწის ნაკვეთი მდინარე გუმისთას ხეობაში, შემდგომში საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა «ემერა», სადაც მიმდინარეობდა

მუშაობა მცენარეთა მსოფლიო კოლექციის გასამრავლებლად და ყოველმხრივ შესასწავლად. ექსპედიციების შედეგად შეგროვილ იქნა სუბტროპიკული ფლორის მდიდარი კოლექცია, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდა სელექციური მუშაობის ახალი ეტაპის გაშლა.

კავკასიის შავიზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკები ვრცელდება ჩრდილოეთ განედის 41°39'-სა (ბათუმი) და 44°37'-ს (ლაზარევკა) ფარგლებში და ხასიათდება სუბტროპიკებისათვის ყველაზე მკაცრი პირობებით დედამიწაზე.

ხელსაყრელი კლიმატი ტემპერატურის უმნიშვნელო დაწევით ცალკეულ წლებში -9-10°-მდე, შედარებით მაღალი საშუალო წლიური ტემპერატურა +14,6°, მზის რადიაციის სიუხვე, აქტიური ტემპერატურის მაღალი ჯამი (4000°-4720°), ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (85%), ასევე წლიური ნალექების დიდი რაოდენობა (1200-2500 მმ) ხელს უწყობს სუბტროპიკული კულტურების დიდი მრავალფეროვნების წარმატებით ზრდა-განვითარებას.

1932-1933 წლებიდან სუბტროპიკული კულტურების ძირითადი კოლექციისა და სელექციური მასალის დარგვა ტარდება სადგურის ცენტრალურ ნაკვეთზე (დაბა გულრიფში). დიდი სამამულო ომის შემდგომ სადგური მისი განყოფილებებითა და ლაბორატორიებით ნ. სმეცკოის პარკიდან (ქ. სოხუმი) მთლიანად გადატანილ იქნა გულრიფშის რაიონში, მის ბაზაზე კი შეიქმნა დენდროპარკი, ტერიტორიაზე კი განთავსდა სახელმწიფო აგარაკი.

საცდელი სადგურის მუშაობის პირველ წლებში ძირითადი ამოცანა იყო კულტურული მცენარეების ფართო ასორტიმენტის მოზიდვა დედამიწის სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნებიდან, ასევე ყოფილი სსრკ სამხრეთი რაიონებიდან მათი პრაქტიკული გამოსადეგობისა და ფასეულობების დაწვრილებით შესწავლითა და შემდგომი ბიოლოგიური გამოკვლევებით. მეორე, შემდგომი ამოცანა გახდა ჯიშთა გამოცდა სადგურზე და მთელი შესასწავლი ინტროდუქციული მასალიდან უფრო ფასეულის გამოყოფა სამეურნეო გამოყენებისა და სელექციური მიზნებისთვის.

დასახული ამოცანების შესასრულებლად სადგური ატარებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით:

1. შავიზღვისპირეთის ტენიანი სუბტროპიკებისათვის სხვადასხვა ქვეყნიდან კულტურაში გამოსადეგი ხეხილოვანი, ტექნიკური, საკვები, სასურსათო, დეკორატიული, სამკურნალო და სხვა მცენარეთა ინტროდუქცია, მათი შესწავლა და პირველადი გამოცდა.

2. ტენიან სუბტროპიკებში კულტურაში უკვე ჩართულ კულტურულ მცენარეთა ასორტიმენტის შესწავლა და მათი სამეურნეო შეფასება.

3. შერჩევისა და ჰიბრიდიზაციის გზით ახალი ფორმების მიღება ეფექტური ჯიშების შემდგომი გამოყოფითა და გამრავლებით.

4. ამიერკავკასიის კულტურაში შემოსაღებად ვარგის, ველურ სახეობათა გამოვლენა და შესწავლა მათი ბუნებრივი რესურსების დასადგენად.

5. მცენარეზე სხვადასხვა ხერხით (ფოტოპერიოდიზმი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) ზემოქმედება მათი ყინვაგამძლეობის ამაღლების, ვეგეტაციისა და მსხმოიარობის ვადის შემცირების მიზნით.

6. ყველაზე ფასეული მასალის პირველადი გამრავლება და საცდელი ორგანიზაციების მომარაგება.

სოხუმის საცდელ სადგურში პირველ წლებში ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები:

1. მეხილეობის, რომელიც სწავლობდა ნარინჯოვნებს, აღმოსავლურ ხურმას, მუშმულას, კაკლოვნებს, ყურძენს, ევროპულ და ტროპიკულ ხეხილოვნებს.

2. ტექნიკური სექციებით: მთრიმლავი, კაუჩუკოვანი და სართავი კულტურები. მათ შორის წამყვანი: აკაცია, ევკალიპტი, გვაიულა, რამი, ახალზელანდიური სელი და ოქროწყებლა.

3. ეთერზეთების წამყვანი კულტურებით: გერანი, არომატული მარცვლოვნები, ლიპია, ნარინჯოვნები, ლავანდა, ზამბახი, როზმარინი და ტუბეროზა.

4. სამკურნალო, რომელიც სწავლობდა ქაფურისა და ქინაქინის ხეებს, კოკაინის ბუჩქს, სინამაქის ხეს, ცხიმზეთოვნებს (ტუნგი და ქონის ხე), სანელებელ და საკვებგემოვნების მცენარეებს (კოჭა, ჩაი, ყავა).

5. ბოსტნეულის, წამყვანი კულტურებით: ბატატი, ჩაიოტი, ჩინური კარტოფილი, ლუფა და სხვა.

6. დენდროლოგიის, პალმების, ეგზოტიკური მუხების, ბამბუკის, წიწვოვნების, ლორიოდენდრონისა და სხვ. შემსწავლელი განყოფილება, რომელშიც შედიოდა სადგურის პარკი. მუშაობა ტარდებოდა ასევე შავიზღვისპირეთის ეგზოტების გამოსაკვლევად და ფიტოგეოგრაფიული ნაკვეთების მოსაწყობად.

7. დეკორატიული წამყვანი კულტურებით: ბოლქვოვნები, ვარდი, ზამბახი, ჰერბერა და სხვა.

8. მინდვრის, სადაც სათაო ინსტიტუტის რეკომენდაციით იცდებოდა: სიმინდი, ლობიო, მიწის თხილი, კანავალია, ხავერდა ცერცვი, სატაცური, კაიანუსი, ლუფა, სამყურა და მარცვლოვანები.

სათესლე და სარგავი მასალის მოზიდვა ხდებოდა დიდი მასშტაბებით და უკვე 1931 წლისთვის მიაღწია 32918 ნიმუშს.

საქმიანობის პროცესში სადგური თანდათან ავიწროებდა კვლევის ობიექტების წრეს, ყურადღებას ამახვილებდა ტენიანი სუბტროპიკების ძირითად საწარმოო კულტურებზე. 1932 წლიდან მიზანმიმართული ინტროდუქციის შედეგად საკვლევი მასალის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

სადგურის მიერ მრავალრიცხოვან კულტურაზე დაგროვილმა მცენარეულმა სიმდიდრემ საფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ ახალ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს და მეურნეობებს, ასევე შეავსო მონათესავე ორგანიზაციების გენოფონდი. რამისა და ახალზელანდიური სელის კოლექციები გადაეცა საკავშირო ინსტიტუტის ბოჭკოვანი კულტურების საცდელ სადგურს (სენაკის რაიონი, სოფ. ნოსირი); ყვავილოვან-ბოლქვოვანი კულტურებისა _ საბჭოთა მეურნეობას «Южные культуры» (ქ. ადლერი, კრასნოდარის მხარე), რომლის საფუძველზეც იქ ჩამოყალიბდა ყვავილოვან-ბოლქვოვანთა მეურნეობა; მნიშვნელოვნად შეივსო და გაფართოვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის ასორტიმენტი ვარდებისა და მერქან-ბუჩქოვან ჯიშთა კოლექციებით. ეთერზეთოვან კულტურებზე დაწყებულმა მუშაობამ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეთერზეთოვანი კულტურების სოხუმის საცდელ სადგურს, რომელიც შეიქმნა 1937 წელს; სამკურნალო მცენარეთა კოლექცია გადაეცა ქ. ქობულეთს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) და მის ბაზაზე 1945 წელს ორგანიზებული იქნა სამკურნალო მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის საცდელი სადგურის წარმატებული მუშაობა ომმა შეწყვიტა. იმ მძიმე წლებში, როცა მტერი სოხუმს უახლოვდებოდა, სადგური ევაკუირებულ იქნა აზერბაიჯანში (ლენქორანი). 1944 წლის ბოლოს, კავკასიაში მტრის განადგურების შემდეგ, ის დაბრუნდა ევაკუაციიდან და განაახლა მუშაობა.

1956 წელს სადგური სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებიდან ისევ გადავიდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის (ВИР) სისტემაში.

დიდი სამეცნიერო და ორგანიზაციული დახმარება გაუწიეს სადგურს მემცენარეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორებმა, აკადემიკოსებმა პ. ჟუკოვსკიმ, დ. ბრეჟნევმა, ვ. დოროფეევმა და ვ. დრაგავცევმა.

ბოლო წლებში სადგურის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო მცენარეული რესურსების _ ციტრუსოვანთა, ხეხილოვანთა, ტექნიკურ, ბოსტნეულის, მარცვლოვან და პარკოსან კულტურათა მობილიზება, ღრმა შესწავლა და დანერგვა. კოლექციის მდიდარი გენოფონდის საფუძველზე, სელექციის ყველა მეთოდის გამოყენებით, მიღებული იქნა ახალი ძვირფასი ჯიშები და ფორმები, ორგანიზებული იქნა მათგან საუკეთესოს გადაცემა წარმოებისათვის.

როგორც აღინიშნა, სოხუმის საცდელი სადგური წარმოადგენდა მსხვილ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციას კავკასიის შავიზღვისპირეთის სუბტროპიკულ ზონაში, რომელიც ატარებდა სუბტროპიკული კულტურების კვლევებს ინტროდუქციისა და სელექციის სფეროში. აქ შექმნილი იქნა 3500-მდე ნიმუშის უნიკალური კოლექცია, მათ შორის 1200-მდე ციტრუსების, 1500 _ ხეხილოვნების და 700-მდე ტექნიკური კულტურების. გარდა ამისა,

ყოველწლიურად იცდებოდა 1500-მდე ბოსტნეულის, 500-მარცვლოვან და პარკოსანთა და 300 სიმინდის ნიმუში. სადგურს ჰქონდა 4 განყოფილება: ციტრუსოვანთა; სუბტროპიკული სამხრეთული მეხილეობის და კაკლოვნების; ტექნიკური კულტურების; ბოსტნეულის, მარცვლოვან პარკოსანთა და სიმინდის; ასევე გაერთიანებული ლაბორატორია – ბიოქიმიის, ფიზიოლო-გიის, ციტო-ემბროლოგიისა და იმუნიტეტის ჯგუფებით. სადგურთან ფუნქციონირებდა ინტროდუქციულ-კარანტინის სანერგე. გარდა ამისა ჰქონდა ორი საყრდენი პუნქტი – გუთაუთის, სადაც გამოცდას გადიოდა თესლოვანი, კურკოვანი, ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურები; აჭარის, განთავსებული მალსეკოთი დაავადების კერაში, სადაც იცდებოდა დაავადებისადმი ციტრუსოვანთა გამძლეობა. განყოფილებების მომსახურებისათვის შექმნილი იყო მეტეოროლოგიური სადგური.

სამეცნიერო თემატური გეგმების, ანგარიშების განხილვით და სხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაკავებული იყო სადგურის სამეცნიერო საბჭო, თავმჯდომარე დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხვატიში; დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. ფოგელი; სწავლული მდივანი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. კარბა; დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში – ზ. გუნბა.

სადგურში მუშაობდა მეცნიერებათა დოქტორი 2, სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი – 20, უფროს მეცნიერ-თანამშრომელი – 2, მეცნიერ-თანამშრომელი – 4 და უმცროს მეცნიერ თანამშრომელი – 10, ერთი ენტომოლოგი და 20 ლაბორანტი.

სადგურს ჰქონდა სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომლის ფონდში 32000-მდე წიგნი იყო.

სადგურის ექსპერიმენტალური მეურნეობის ამოცანას შეადგენდა კოლექციური და სელექციური ნარგაობების უზრუნველყოფა მაღალი აგროტექნიკური დონით, ასევე სახელმწიფო გეგმის შესრულება ძირითადი სახეობების: ციტრუსების, ბამბუკის, ხეხილის და სხვა პროდუქციაზე. სადგურის განკარგულებაში იყო 16 მანქანა, 13 ტრაქტორი; მიწის ფონდი 201 ჰა, აქედან 132,2 ჰა – გულრიფშის რაიონში, 3,3 – ქ. სოხუმში, 62,0 – გუდაუთის საყრდენ პუნქტზე და 3,5 ჰა აჭარაში.

საცხოვრებელი ფართი შეადგენდა 5000-მდე მ²-ს, ბინების საერთო რაოდენობა კი 180. მზად იყო დოკუმენტაცია ახალი ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობისათვის 2 მილიონის ღირებულების ხარჯთაღრიცხვით.

განყოფილებები და ლაბორატორია

მცენარეული რესურსების განყოფილებები და ლაბორატორია ყოველმხრივ სწავლობდნენ სადგურზე თავმოყრილ მსოფლიო კოლექციას, ამუშავებდნენ და აზუსტებდნენ კვლევის მეთოდებს, ადგენდნენ დოკუმენტაციას, ანგარიშებს, ასევე აზოგადებდნენ შედეგებს კატალოგების, სტატიების, ბუკლეტების, ბროშურებისა და წიგნების სახით. დიდ მუშაობას ატარებდნენ მიღებული საუკეთესო ჯიშებისა და ფორმების დასანერგად რესპუბლიკის მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

განყოფილებები ცოცხალი სახით ინარჩუნებდნენ და ამრავლებდნენ კოლექციის ნიმუშებს, სელექციურ და საცდელ ორგანიზაციებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ აზოგადებდნენ პერსპექტიული მცენარეების სახეობებს, ფორმებსა და ჯიშებს; ამავე დროს გამოყავდათ თესლები გენური ბანკის ნაციონალური საცავისთვის. საცდელი სადგურის კოლექციის მდიდარი ფონდი უზრუნველყოფდა მრავალი პრობლემის კომპლექსურ დამუშავებას და კოორდინაციულ კვლევას სხვადასხვა ორგანიზაციებთან: თბილისის და კრასნოდარის კვების მრეწველობის ინსტიტუტებთან; აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტთან; აზერბაიჯანის გენეტიკისა და სელექციის ინსტიტუტთან; უზბეკეთის შრედერის სახელობის მეხილეობისა და მევენახეობის ინსტიტუტთან; სუბტროპიკული კულტურების ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების საკავშირო-სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტთან; ასევე მოსკოვისა და ყუბანის სამედიცინო ინსტიტუტებთან.

ციტრუსოვან კულტურათა განყოფილება – წამყვანი განყოფილება იყო. იგი როგორც დამოუკიდებელი დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა. სხვადასხვა დროს განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები: ნ. რინდინი, ნ. მაისურაძე, ა. გოგიბერიძე, მ. ბლაჟბა და ტ. სამოლადასი აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის ბოლომდე (1993წ.). მუშაობის პირველივე ეტაპიდან ციტრუსოვნების კომპლექსური შესწავლისა და სელექციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: ვ. ეკიმოვმა, დ. ზარეცკიმ, ნ. ლუსმა, ი. შტებერმა, მ. მურმა, ნ. ზაკტრეგერმა, ფ. მამფორიამ, ნ. ლომიამ, ვ. იაკობაშვილმა, ნ. მაისურაძემ, მ. კოლელიშვილმა, ა. გოგიბერიძემ, შ. სურგულაძემ, ტ. სამოლადასმა, რ. ადამიამ, ც. კოკაიამ, გ. ცეკვაკამ, რ. ქარაიამ, ფ. ოდაბაშიანმა, მ. თავაძემ. ბოლო პერიოდში განყოფილებაში მუშაობდა 16 თანამშრომელი, მათ შორის ერთი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიურ მეცნიერებათა 5 კანდიდატი, 2 მეცნიერ და 2 უმცროს მეცნიერ თანამშრომელი, 6 ლაბორანტი. არსებობის პერიოდში განყოფილების თანამშრომლებმა უდიდესი სამუშაო ჩაატარეს. ინტროდუქციისა და სელექციის ყველა კლასიკური მეთოდის (კლონური, სახეობათშორისი, შიდასახეობითი, ოჯახთშორისი, მრავალგენომური, სელექცია აპომიქსისისა და პოლიპლოიდის საფუძველზე, თვითდამტვერიანება, ასევე ინდუცირებული მუტაგენეზი) გამოყენების შედეგად სადგურზე შეიქმნა ნარინჯოვანთა

ქვესახეობის მდიდარი კოლექცია, რომელიც წარმოდგენილი იყო 6 გვარით – ციტრუსი, პონცირუსი, ფორტუნელა (კინკანი), მიკროციტრუსი, ერემოციტრუსი და სევერინია.

კოლექციაში ციტრუსის გვარი წარმოდგენილი იყო 10 სახეობით (ციტრონი, ლიმონი, ლაიმი, ბიგარადია, ფორთოხალი, მანდარინი, პომპელმუსი (თურინჯი), გრეიპფრუტი, ციტრუს შიროკი, იჩანგენზისი) და 17 სახესხვაობით; გვარი პონცირუსი – 1 სახეობით (სამფოთოლა ტრიფოლიატა); გვარი ფორტუნელა – 3 სახეობით (იაპონური, მარგალიტისა და სქელფოთოლა); გვარი მიკროციტრუსი – 1 სახეობით (ავსტრალიური); გვარი ერემოციტრუსი – 1 სახეობით (სიდჟი) და გვარი სევერინია – 1 სახეობით (ბუქსიფოლია). ნარინჯოვანთა ქვესახეობის საერთო რაოდენობა კოლექციაში შეადგენდა 1132 ნიმუშს (346 ლიმონი, 285 ფორთოხალი, 248 მანდარინი, 149 გრეიპფრუტი და თურინჯი და 104 გარეული წინაპარი).

განყოფილებაში კოლექციისა და სელექციური მასალის შესწავლით, ასევე სელექციური მუშაობით დაკავებულნი იყვნენ: ლიმონით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების უფროსი ტ. სამოლადასი და უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ა. ტოკარევი; ფორთოხლით – მეცნიერ თანამშრომელი ვ. ლურჯაია; მანდარინით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ფ. ოდაბაშიანი და მეცნიერ თანამშრომელი ზ. ოტირბა; გრეიპფრუტით და თურინჯით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ქარაია და უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ზ. ტირკვა; ციტრუსოვანთა გარეული წინაპრებით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი – ლ. გავრილოვა; პოლიპლოიდიით – ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. თავაძე; კლონური სელექციით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ცეკვავა. განყოფილების ძირითადი ამოცანა, როგორც ადრე, იყო მაღალი ყინვაგამძლე, მაღალმოსავლიან, ადრემწიფებად, მაღალხარისხოვან, ციტრუსოვანთა, ხოლო ლიმონისთვის ამავედროულად მალსეკოგამძლე ახალი ჯიშების გამოყვანა.

დიდი სელექციური მუშაობის შედეგად განყოფილებაში მიღებული იქნა სხვადასხვა გენომური, ჰიბრიდებისაგან შემდგარი მასალა ძვირფასი სამეურნეო თვისებებით და მეტად საინტერესო საწყისი მასალა ახალი ჯიშების შესაქმნელად. ამ მასალისა და კოლექციის ფონზე განხორციელებული აგრობიოლოგიური, გენეტიკური, ციტო-ემბრიოლოგიური, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური კვლევების შედეგად დამუშავებულ იქნა ციტრუსოვანთა სამამულო სორტიმენტი, გამოყოფილი იქნა სასარგებლო სამეურნეო-ბიოლოგიური ნიშნებისა და თვისებების წყაროები და დონორები უშუალოდ გამოსაყენებლად და შემდგომი სელექციისათვის.

კავკასიის შავიზღვისპირა სუბტროპიკებში დარაიონებული იყო ციტრუსოვანთა 28 ჯიში; ამათგან 21 – სადგურის სელექციის, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო ჯიშთა გამოცდა; მათ შორის: 5-ლიმონის – ახალქართული, უდარნიკი, მეიერი, ლისბონი, ვილა-ფრანკა; 6 მანდარინის – ფართოფოთოლა უნშიუ, სილვერხილი, ივერია, მიაგავა ვასე, სოხუმური,

აფხაზური ადრემწიფებადი; 5 ფორთოხლის – ვაშინგტონ ნაველი, გამლინი, პერვენეცი, მზიური, ნარტა; 2 გრეიპფრუტის – უთესლო მარში, საიუბილეო და 3 თურინჯის – გულრიფშის, მსხლისებრი შედოკი, ხეთური. სახელმწიფო ჯიშთა გამოცდას გადიოდა 45 საუკეთესო ჯიში, რომელთაგან ლიმონი – 15, ფორთოხალი – 8, მანდარინი – 10, გრეიპფრუტი და თურინჯი – 8, იუნოს იუკო – 1. ასევე საკონსერვო მრეწველობაში გამოსაყენებლად კინკანის (ფორტუნელა) 2 ჯიში და ერთი ჰიბრიდი ციტრანჟკვატი.

დასავლეთ საქართველოში ციტრუსოვან კულტურებს ეკავა 25 ათასი ჰა, რომლის 95% იყო სოხუმის საცდელი სადგურის ჯიშებით გაშენებული. განყოფილების მიერ სადგურის სანერგეში ყოველწლიურად მრავლდებოდა ციტრუსოვანთა საუკეთესო, რეკომენდებული ჯიშების 50 ათასამდე ნერგი კოლმეურნეობების, მეურნეობების და სამეცნიერო ორგანიზაციებისთვის გადასაცემად.

სუბტროპიკულ, სამხრეთის ხეხილოვანთა და კაკლოვანთა განყოფილება – შეიქმნა ოცდაათიანი წლებში, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა ძირითადად აღმოსავლური ხურმის, ფეიჰოას, ლეღვის, იაპონური მუშმულის, პეკანის, ფუნდუკის და სხვა, ხოლო მცირე მასშტაბით – თესლოვანი და კურკოვანი კულტურების კოლექციების შესაქმნელად. იმ პერიოდში მუშაობა მიჰყავდათ ვ. ეკიმოვს, კ. კოროტკოვას, ნ. ზაკტრეგერს, ვ. ესინოვსკაიას და სხვ.

1956 წ. საცდელი სადგურის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის (ВИР) შემადგენლობაში გადასვლასთან დაკავშირებით, მუშაობა ხეხილოვნებთან გაფართოვდა. ფაქტიურად ხელახლა იქნა ორგანიზებული ეს განყოფილება. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ხაშბა, შემდგომი წლები – უფროს მეცნიერ თანამშრომელი ნ. ლაკობა, ხოლო 1973 წლიდან – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბარგანჯია.

ომისშემდგომ პირველ პერიოდში ხეხილოვანთა კოლექციის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატებს ნ. ზაკტრეგერს, ლ. ხაშბას, მ. კვარაცხელიას, შ. არობელიძეს, კ. თავდუმაძეს, ე. ჩამაგუას, ა. სამარინას, ბ. არგუნს. ბოლო პერიოდში განყოფილებაში ირიცხებოდა 8 თანამშრომელი: 3 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, 1 უფროსი მეცნიერი- და 2 მეცნიერ თანამშრომელი, 2 ლაბორანტი.

სუბტროპიკული ხურმის კოლექციის შესწავლით დაკავებული იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, განყოფილების უფროსი ა. ბარგანჯია; ფეიჰოასა და ლეღვის – მეცნიერ თანამშრომელი ო. ვორონოვა; მუშმულას, ავოკადოს, ზეთისხილის, ბროწეულის, წყავისა და უნაბის – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. გოგიბერიძე; თესლოვანების (ვაშლი, მსხალი, კომში) – უფროს მეცნიერ თანამშრომელი ნ. ლაკობა; კურკოვანების (ქლიავი, ტყემალი, ატამი, ბალი, ალუბალი, შინდი) – სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კანაევა; კაკლოვანების (ნიგოზი, პეკანი, ფუნდუკი, წაბლი) – მეცნიერ თანამშრომელი ზ. ხარაზია.

განყოფილების კოლექციაში თავმოყრილი იყო და ისწავლებოდა ხეხილოვანთა და კაკლოვანთა 1510 ნიმუში. დიდი ყურადღება ექცეოდა ექსპედიციების ორგანიზებას და განხორციელებას მასალის შეგროვების მიზნით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში, მოლდავეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყირიმში. ყოველწლიურად ხორციელდებოდა ექსპედიციები ახალი, სამეურნეო მნიშვნელობის ნიშან-თვისებების მქონე და ადგილობრივი ძველი ჯიშებისა და ფორმების შესაგროვებლად. განყოფილებას ჰქონდა სანერგე, სადაც ყოველწლიურად მრავლდებოდა 40 ათასამდე ნერგი სადგურის მიერ რეკომენდებული ხეხილოვანი კულტურების საუკეთესო ჯიშებისა კოლმეურნეობებისათვის, მეურნეობებისათვის და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

თავისი საქმიანობის პერიოდში ხეხილოვანთა განყოფილებამ სახელმწიფო ჯიშთაგამოცდას გადასცა 40 ჯიში. აქედან 13 დარაიონებული იყო დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სუბტროპიკული ხურმის 7 ჯიში (გოშო-გაკვი, ზენდაჟი მარუ, ჯირო, სიდლესი, ხაჩია, ჰაიკუმე, დიდი ტაოპანი); ლეღვის 2 (სოხუმის იისფერი და გრინ-იშია); ფეიჰოას 1 (სუპერბა) და 3 ვაშლის (დელიშესი, სტარკინგი და გორის სინაპი).

სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურათა კოლექცია შედგებოდა 495 ნიმუშისაგან. მათ შორის აღმოსავლური ხურმის – 53, ფეიჰოას – 43, ლეღვის – 121, ავოკადოს – 89, ზეთისხილის – 39, მუშმულის – 22, უნაბის – 26, ბროწეულის – 54, წყავის – 27 და მირიკასი – 16.

დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოიყო პერსპექტიული ჯიშები და წარმოებაში დასანერგად რეკომენდაცია მიეცა: ავოკადოს – მექსიკოლას თესლნერგები 8, კალიენტეს 2, ნორტროპის 5, მექსიკოლა 10/7 და მექსიკოლა 6/4; მუშმულას – ფალესი, შამპანი, დიდი სიცილია, კომუნი, პრემიერი, ტაპანა; უნაბს – ტა-იან-ცზაო, უ-სინ-ხუანი, და-ბაი-ცზაო, ია-ცზაო, სამარკანდული, მსხვილნაყოფა, საიუბილეო, ფორმა 160; აღმოსავლურ ხურმას – ჰიაკუმე, გუიბოში, ხაჩია, ფუიუ, დიდი ტამოპანი, კურო-კუმე; ფეიჰოას – სუპერბა, თესლნერგები 1189, 9, 39, 2/17, 2/11^ა და 1/3^ა; ლეღვს – სოხუმის იისფერი, მუსონი, კადოტა, ადრიატიკული თეთრი, ლარდარო, საბრუცია ვარდისფერი და გრინ იშია.

კურკოვან კულტურათა კოლექცია შედგებოდა 356 ნიმუშისაგან, რომელთაგან ატამი იყო 108, ქლიავი – 96, ტყემალი – 81, შინდი – 15, ბალი – 46 და ალუბალი – 10. ამ ფონდიდან გამოყოფილ იქნა პერსპექტიული ჯიშები. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო ადრე მწიფებადებმა: ქლიავის – ონტარიო, რენკლოდი და ულლენური; ტყემლის – პიონერკა და ობილნი; ატმის – ამსდენი და ფუმფულა ადრეულა. სიმწიფის საშუალო ვადის – ქლიავის – ედინბურგული და მარმელადის; ტყემლის – დესერტული, ყირიმული ყვითელი და გულდედავა; ატმის – სოხუმური ნარინჯისფერი, ნიკიტსკი და კრემლიოვკა; ბლის – კასინი საადრეო და ოქროს. გვიან მწიფებადი: ქლიავის – აჟანური ვენგერკა და სოჩის საიუბილეო;

ტყემლის _ ოჩამჩირული; ატმის _ საგვიანო ნარინჯი, საგვიანო ხიდისთავური და არარატი; ბლის _ ბაგრატიონი, ვისტავოჩნაია და იანტარნაია.

თესლოვან კულტურათა კოლექციაში გამოიცადა 375 ჯიში და ფორმა, მათ შორის ვაშლის _ 184, მსხლის _ 173, კომშის _ 20. მრავალწლიანი შესწავლის შედეგად თესლოვანთა კოლექციის ფონდიდან, სამეურნეო ფასეული ნიშნების კომპლექსით, გამოიყო აფხაზეთში დარაიონებულ სორტიმენტში შესაყვანად: ვაშლის ჯიშები _ მელბა, სტარკინგი, გორის სინაპი, დელიშეს წითელი; მსხლები _ კონფერენცია, ბერე ბოსკი, ვილიამსი. საწარმოო გამოცდისთვის რეკომენდებულია ვაშლი _ ბრაიხანოვო, სტარკრიმსონი, ფეიმიზი; მსხალი _ ლე ლექტიე, კოლებასე. ფასეული ნიშნების მატარებელი ჯიშები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სელექციისათვის, არის: ვაშლი _ აფხაზეთური, პერჩანდული, სამარყანდის პერვენცი; მსხალი _ საივანობო კარგი, სასენა მაისის.

შესასწავლი კოლექციის კულტურათა დიდმა მრავალფეროვნებამ საშუალება მისცა გამოყოფილიყო ჯიშთა კონვეიერი ყველაზე საადრეოდან საგვიანომდე. მათი ნაკრები რეკომენდებული იყო მსხვილი საკურორტო გაერთიანებების დამხმარე მეურნეობებისა და მეგობრული ბაღებისთვის მოსახლეობის ხილით მთელი წლის განამკლობაში უზრუნველყოფის მიზნით.

კაკლოვანი კულტურების კოლექცია შედგებოდა 251 ჯიშნიმუშისაგან, მათგან: პეკანი _ 61, ნიგოზი _ 45, ფუნდუკი _ 124 და წაბლი _ 21.

კაკლოვანი კულტურების მრავალწლიანი ღრმა აგრობიოლოგიური შესწავლის შედეგად წარმოებისთვის შერჩეულიქნა მაღალმოსავლიანობისა და ცხიმის შემცველობით პიკანის პერსპექტიული ჯიშები _ პოსსეი, შლეი, ბუსსერონი, ტომასი; ნიგოზის ფორმები ¹¹⁵ და 27 მოსავლიანობითა და მავნებლებისა და ავადმყოფობებისადმი იმუნიტეტით. ფუნდუკი _ აფხაზეთური საშუალო, ჩერქეზული, კერასუნდ მრგვალი მაღალმოსავლიანობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1985 წლიდან სუბტროპიკული, სამხრეთული ხეხილოვნების და კაკლოვნების კოლექცია ცენტრალური ნაკვეთიდან მთლიანად გადატანილი იქნა გუდაუთის საყრდენ პუნქტზე. ამავე დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა ციტრუსოვანთა კოლექციისა და გამორჩეული სელექციური ფორმების სარგავი და სანამყენე მასალის გადაცემა ადღერის (სოჭი) ერთ-ერთი მეურნეობისათვის. ამდენად მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტმა (ВИП) შეიქმნა კოლექციების დუბლები სოხუმის საცდელი სადგურის გარეთ (თითქოს ელოდა შემდგომ განვითარებულ მოვლენებს).

სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების განყოფილება. ინტროდუქციის საქმეში სოხუმის საცდელი სადგურის ძირითადი ამოცანიდან გამომდინარე, განყოფილებაში მუშაობა ტარდებოდა კავკასიის შავიზღვისპირა ტენიან სუბტროპიკებში ახალი ტექნიკური და საკაზმ-საკვები მცენარეების ათვისებისა და კულტურაში შემოღების მიმართულებით.

ზოგიერთი კულტურის ათვისების სიძნელე განპირობებული იყო იმით, რომ უფრო ფასეული და მნიშვნელოვანი სახეობები, ძირითადად სანელებელი და საკვები, ტიპიური ტროპიკული მცენარეები არიან და მოითხოვენ სპეციალური მეთოდების დამუშავებასა და გამოყენებას.

ახალი სასარგებლო ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების კულტურაში შემოღებას საფუძვლად დაედო შემდეგი ძირითადი მეთოდები: ჰიბრიდიზაცია, გამორჩევა შემდგომი თაობის თესლნერგებში, არამოზამთრე სითბოსმოყვარული მრავალწლიანი მცენარეების სამეურნეო-ერთწლიანი კულტურის სახით გამოყენება, კლონური სელექცია და სამეურნეო-ფასეული შემცვლელების ძიება.

სადგურზე ტექნიკური კულტურების განყოფილება შექმნილი იყო მისი ორგანიზების დასაწყისშივე (1929წ.). განყოფილებაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ი. ვოლხოვსკოი, კ. მომოტი, მ. მოლოდიოჟნიკოვი, გ. ონოხოვა, ვ. დემიანოვი, ნ. სმოლსკი, პ. კიბალჩიჩი, ვ. ტიუტინი, ვ. ალექსეევი, ვ. ხაბეიშვილი. განყოფილების პირველი ხელმძღვანელი იყო ვ. ნიკოლაევი, 1934 წლიდან – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სმოლსკი, 1945-1950 წლები მას სათავეში ედგა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. პილიპენკო, შემდგომი წლები (1950-1956 წწ.) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. არობელიძე, 1957-1983 წლები – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. ფოგელი, ხოლო 1984-1992 წლები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ე. გუბაზი. ყველა მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა ინტროდუქციის, სელექციისა და კულტურათა წარმოებაში დანერგვის სფეროში.

ბოლო წლებში განყოფილებაში 7 თანამშრომელი ირიცხებოდა: 1 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, 2 სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, 2 უმცროს მეცნიერ თანამშრომელი და 2 ლაბორანტი. განყოფილებაში თავმოყრილი იყო მდიდარი კოლექცია 680 ფორმის ოდენობით. ევკალიპტებზე და მერქან-ბუჩქოვან ჯიშებზე მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. ფოგელი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ე. გუბაზი, ტუნგზე, ბამბუკზე, სანელებლებზე – ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ბოკარევა და უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ნ. მარშანია.

ევკალიპტის კოლექცია შედგებოდა 109 სახეობის და სახეობათაშორისი ჰიბრიდებისაგან. გენოფონდის მრავალწლიანი შესწავლის შედეგად გამოყოფილი იქნა ყველაზე პერსპექტიული ყინვაგამძლე ($-8-12^{\circ}\text{C}$) და ზეთში, სამკურნალო მიზნებისთვის მეტად აუცილებელი, ცინეოლას მაღალი შემადგენლობის (50-და 85%-მდე) სახეობები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ევკალიპტები დალრიმპლიანა, ცინერეა, ნიფოფილლა და ფორმა ტრანსფორმისი. მეორეს – გუნია, ინტერტეკსტა, პულვერულენტა და ჰიბრიდი (მაკარტური X ვიმინალისი). ამ სახეობებისა და ფორმების თესლები სახელმწიფო სანერგეს

გადაეცემოდა გასამრავლებლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ევკალიპტების სამრეწველო პლანტაციების მოსაწყობად და ეთერზეთის მისაღებად, რომელზეც მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდებოდა.

ბამბუკის კოლექცია შეიცავდა 6 გვარის 38 სახეობას (ლისტოკოლოსტინიკი _ 19 სახეობა, საზა _ 4, ფსევდო საზა _ 2, შიბატაია _ 1, ბამბუზა _ 4, არუნდინარია _ 6, ჰიმონობამბუზა _ 1). აქედან უფრო ფასეულს წარმოადგენენ ლისტოკოლოსტინიკის გვარის სახეობები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებიან სახალხო მეურნეობაში (სპორტული ინვენტარი, ანკესი, სამშენებლო მასალა მსუბუქი კონსტრუქციის დასამზადებლად, ავეჯი), ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ორნამენტალური მცენარე და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ. სადგურის საქმიანობის პერიოდში რეკომენდებულ იქნა და წარმოებაში დაინერგა ბამბუკის ბევრი სახეობა: მწვანე-ცისფერი, ჩინური მადაკე, იაპონური მადაკე, მეიერის, შავი, დულცისი და სხვა, რომლებიც გამოირჩევიან ტანის მაღალპროდუქტიულობით (10-15 ათასი ჰა-დან), ხოლო შავი და დულცისი დეკორატიულობითაც.

განყოფილების მიერ შემუშავებული იყო ბამბუკის მოყვანის აგროტექნიკა და შედგენილი იყო ღონისძიებების ნუსხა აყვავილებული მცენარეების გადასარჩენად, რომლებიც შევიდა აგროწესებში.

ტუნგოს კოლექცია შედგებოდა 138 ნიმუშისაგან (3 სახეობა _ ჩინური, იაპონური და მთის), 20 ჯიში, 115 ჰიბრიდი და სელექცირებული ფორმები. ნიმუშების მნიშვნელოვანი რაოდენობის შესწავლის შედეგად და ინდივიდუალური გამორჩევით გამოიყო ტუნგო ფორდის 20 ჯიში, რომლებიც გამოირჩეოდნენ კარგი მოსავლიანობით და ზეთის მაღალი შემცველობით. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი საწარმოო ნარგავებს საქართველოს კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში. მასობრივი სელექციის მეთოდით იყო გამოყოფილი ტუნგო ფორდის 1000-ზე მეტი სადედე ხე.

დიდი მუშაობა იყო ჩატარებული მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოსა და კრასნოდარის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ახალი კულტურის _ ზიბოლდას დარიჩინის (დაფნისებრთა ოჯახი) ასათვისებლად. ამ კვლევების შედეგად დამუშავებულიქნა რეცეპტები: სუნამოების «როზა კავკაზა», კრემის «იუნოსტი» და თმის საშუალებები «სომბერო». ასევე იქნა დამუშავებული სურნელოვანი წიწაკის შემცველის _ ნარევი «კავკაზსკაია»-ს მომზადების ტექნოლოგია, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ზიბოლდას დარიჩინი, აკლიმატიზირებული სოხუმის საცდელი სადგურის მიერ.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა იყო განხორციელებული ამ კულტურის წარმოებაში დასანერგად, რაც ახლო მომავალში ძვირადღირებული ცეილონური და ჩინური დარიჩინის იმპორტისაგან განთავისუფლების საშუალებას ნაწილობრივ მაინც შეძლებდა.

1983 წელს უკვე დაწყებული იყო დარიჩინის პირველი სამრეწველო პლანტაციების გაშენება მეურნეობა «ტამიში»-ში (ოჩამჩირის რაიონი).

საინტერესოა ასევე ახალი კულტურა ზარდანჩო (კურკუმა-კოჭასებრთა ოჯახი). მან საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო კვებით მრეწველობაში (როგორც საღებავი და საკვებ-სანელებელი კულტურა) და მედიცინაში (როგორც ახალი სამკურნალო ნედლეული ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მკურნალობისას და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში). სოხუმის საცდელი სადგურისა და აზერბაიჯანის ბოტანიკის ინსტიტუტის ერთობლივი მუშაობის შედეგად პირველად ჩაეყარა საფუძველი ზარდანჩოს (კურკუმა) სამრეწველო პლანტაციებს კვების მრეწველობაში მის გამოსაყენებლად ნაციონალური კერძების მომზადებისას.

სოხუმის საცდელ სადგურზე შექმნილი იყო ბატატის (ტკბილი კარტოფილი) დიდი კოლექცია (55 ჯიში) სასურსათოდ და საკვებად გამოსაყენებლად. მათი ყოველმხრივი აგრო-ბიოლოგიური შესწავლის შედეგად წარმოებაში ფართოდ დასანერგად რეკომენდებული იყო საუკეთესო ჯიშები: პერვენეცი კარტოფილის სოხუმის წითელი, რეკორდული – სადგურის სელექციის და– უ-ჩუ-ჩი-ლუნი, იუი-ბეი-ბაი-პი-ბაი ინტროდუცირებული ჩინეთიდან, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი მოსავლიანობით, სიმწიფის სხვადასხვა პერიოდით, ქიმიური შემადგენლობით (შაქარი, ცილები, ვიტამინები) და ბოლქვების კვებითი ღირებულებით.

ბოსტნეულის, მარცვალპარკოსანი კულტურების და სიმინდის განყოფილება. 1927 წელს იყო ორგანიზებული მებოსტნეობის ჯგუფი, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა კოლექციის ნიმუშებზე და ის ფუნქციონირებდა 1935 წლამდე.

კოლექციის ნიმუშების გამოცდისა და საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონის კულტურაში მათი დანერგვის შესაძლებლობის დასადგენად დიდი მუშაობა გასწია მებოსტნეობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ს. რუმინანცევმა. მის მიერ კოლექციიდან ბიოლოგიური და სამეურნეო-ფასეული ნიშნებით მრავალი ჯიში გამოიყო.

საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ВИП) დირექტორის, აკადემიკოს დ. ბრეჟნევის ინიციატივით 1960 წელს სადგურთან შეიქმნა ბოსტნეულ კულტურათა ჯგუფი საუკეთესო ჯიშების გამორჩევის მიზნით უშუალოდ წარმოების პირობებში მოსაყვანად. გარდა ამისა, მნიშვნელო-ვანი მუშაობა მიდიოდა კოლექციის ნიმუშების ცოცხლად შესანარჩუნებლად და მათ გასამრავლებლად სელექციური ორგანიზაციების მომარაგებისა და ნაციონალურ საცავში თესლების განთავსების მიზნით. ამასთან ერთად ჯგუფი მუშაობდა ადგილობრივი უძველესი ჯიშების გამორჩევასა და მათ შესწავლაზე სამეურნეო-ფასეული ნიშნებით საუკეთესოთა გამოყოფის მიზნით. სწავლობდნენ: კაპუსტას, ძირხვენებს, ბოლქვოვნებს, ძაღლყურძენასებრნებს, კიტრებს და ნაკლებგავრცელებულ მწვანეულობას, სანელებელ კულტურებს.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხვატიანი. ჯგუფში მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. გერია, უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ჭ. ალბორიშვილი და 3 ლაბორანტი.

შესწავლილი იყო ბოსტნეული კულტურების თესვისა და დარგვის ვადები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ხერხს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად და სწრაფად იქნას შესწავლილი ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიური თვისებები. დადგინდა კაპუსტისა და ძირხვენების საწყისი მასალის გამძლეობა ყვავილიანობაზე დათესვის სხვადასხვა ვადის ფონზე. გამოიყო პერსპექტიული ჯიშები უშუალოდ წარმოების პირობებში მოსაყვანად, ასევე როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისთვის.

ხახვისა და ნიორის კოლექციას სწავლობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. გერია. მუშაობის შედეგად გამოიყო მწვანე ხახვის პერსპექტიული ფორმები მთელი წელი უწყვეტად მოსაყვანად, შესწავლილ იქნა კულტურების ზრდისა და განვითარების თავისებურებანი; დამუშავდა რეკომენდაციები რესპუბლიკისთვის ახალი კულტურის – ჭლაკვის მებოსტნეობაში დასანერგად.

ნაკლებგავრცელებულ მწვანილეულობასა და სანელებელ კულტურებს სწავლობდა უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ჭ. ალბორიშვილი, რომლის საფუძველზეც სამეურნეო-ფასეული ნიშნების კომპლექსით გამოიყო პერსპექტიული ფორმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას აფხაზეთის საკურორტო ზონის მწვანილით მოსამარაგებლად მთელი წლის განმავლობაში.

1987-1991წწ. შესწავლილი იყო 6 ათასზე მეტი ფორმა ბოსტნეული კულტურების მსოფლიო კოლექციიდან, 2 ათასამდე ფორმა გამრავლდა სელექციური დაწესებულებების მოსამარაგებლად და თესლების ნაციონალურ საცავებში განსათავსებლად. დამუშავდა და წარმოებას გადაეცა მოყვანის ვადებისა და ღია გრუნტიდან ახალი მწვანილის მთელი წლის განმავლობაში მიწოდების გრაფიკი. ჯგუფის თანამშრომლები სამეცნიერო-კონსულტაციურ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს ბოსტნეულის მთელი წელი უწყვეტად მოყვანის საკითხებში.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მსოფლიო კოლექციის მრავალწლიანი შესწავლის შედეგად გამოიყო და დასავლეთ საქრათველოსთვის რეკომენდაცია მიეცა ბოსტნეული კულტურების 70 პერსპექტიულ ჯიშს. სახელმწიფო ჯიშთა გამოცდას გადიოდა პრასა ღურიფშული და ნიახური იმერული. სახელმწიფო ჯიშთაგამოცდაზე გადასა-ცემად მომზადებული იყო 3 ბოლოკის და 3 პომიდორის ჯიში.

მარცვალპარკოსნებისა და სიმინდის ჯგუფი ორგანიზებული იქნა 1936 წელს. მუშაობას ხელმძღვანელობდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მარცვალპარკოსნების

განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ივანოვი, შემსრულებელი იყო გ. ვოლხოვსკოი.

მუშაობა ტარდებოდა სამ ქვეთემაზე: ზამთრის სიდერაციული კულტურები, ზაფხულის სიდერაციული კულტურები და ნიადაგმემმაგრებლები. ზამთრის სიდერაციული კულტურების პირველადი გამოცდა ტარდებოდა 16 გვარზე, რომელიც წარმოდგენილი იყო 136 სახეობითა და 778 ფორმით, 44 ქვეყნიდან. საუკეთესონი აღმოჩნდნენ: მოსავლიანობის მხრივ ადგილობრივი თეთრი ხანჭკოლა (80 ტ/ჰა); ავადმყოფობებისა და მავნებლებისადმი გამძლე – ბარდა ნიკოლსონი (40,9 ტ/ჰა), ბარდა მაიაკი, ცერცვი, ცულისპირა (38 ტ/ჰა) და სხვა; ზაფხულის სიდერატებიდან მწვანე მასის მოსავლიანობით საუკეთესო აღმოჩნდა ხავერდა ცერცვი (58 ტ/ჰა).

ნიადაგმემმაგრებლებიდან უფრო პერსპექტიულები აღმოჩნდნენ: ვერცხლისფერი სანტოლინა, მრავალწლიანი ლესპიდეზა, კურდლისფრჩხილა, მიწისქვეშა სამყურა და მდელოს მატკვარცანა.

1956 წელს, სადგურის ისევ მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სისტემაში გადასვლასთან დაკავშირებით აღდგენილ იქნა ომით შეწყვეტილი სამუშაოები საკვებისიდერაციულებზე, ნიადაგმემმაგრებლებზე, ასევე ახალ პარკოსან კულტურებზე, როგორცაა – მტრედი-ცერცვა, კანავალია, ხავერდა ცერცვი, კაიანუსი, მათიტელა და სხვა.

1969-1978 წლებში ჯგუფს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ვარდანია. 1978 წლიდან კი ჯგუფს ხელმძღვანელობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ფ. თარბა. შესწავლილ და გამრავლებულ იქნა მარცვალპარკოსანი კულტურების 7 ათასზე მეტი ფორმა, რომლებიდანაც გამორჩევის გზით გამოიყო მუხუდოს სამარცვლე და საკვები დანიშნულების 8 ფორმა და გადაეცა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას. წარმოებაში დაინერგა 2 ჯიში – კომპაქტური და სოხუმური გაუმჯობესებული. მოსავლიანობისა და ადრემწიფადობის ნიშნით გამოიყო 13 ჯიში, როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციისათვის.

მუშაობა სიმინდის შესასწავლად დაიწყო 1958 წლიდან მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სიმინდის განყოფილების გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ფ. სიდოროვისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გ. გალევის ხელმძღვანელობით. სადგურზე შემსრულებლები იყვნენ მეცნიერ თანამშრომლები გ. აიბა და დ. გერცუსკი, ხოლო 1961 წლიდან – გ. პავლოვი და ლ. ვარდანია. 1969 წლიდან ჯგუფს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ვარდანია. კვლევა მიმდინარეობდა კოლექციის გვიანმწიფებადი ფორმების შესწავლისა და ტიპიზაციის, ღივებადობის შენარჩუნებისა და გამრავლების, ციტოპლაზმატური მამრობითი სტერილურობის შესწავლისა და პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით. შედეგად გამოყოფილი იქნა სამარცვლე და სასილოსე დანიშნულების მაღალმოსავლიანი ჯიშები.

სოხუმის საცდელი სადგურის სელექციის ყველაზე პერსპექტიული ფორმები ორმაგი ხაზ-თაშორისი ჰიბრიდები აღმოჩნდა.

სიმინდის კოლექციის აგრობიოლოგიური შესწავლის პარალელურად ინტენსიური მუშაობა მიდიოდა მისი ცოცხლად შენახვისა და გამრავლების მიმართულებით თესლების ნაციონალურ საცავში განსათავსებლად.

ინტროდუქციულ-საკარანტინო სანერგე შეიქმნა 1957 წელს და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოხუმის საცდელი სადგურის მსოფლიო კოლექციის შევსებისათვის.

სანერგის ძირითადი ამოცანა იყო საზღვარგარეთიდან შემოსული სათესი და სარგავი მასალის საკარანტინო შემოწმება, მათი პირველადი ბიოლოგიური და სამეურნეო შეფასება, აგრეთვე ინტროდუცირებული მასალის გამრავლება.

სანერგის პირველი ხელმძღვანელი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. იაკობაშვილი, ხოლო შემდგომი წლები კი ასევე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები – კ. ვარდანია, გ. პავლოვი და რ. ოქსუზიანი. ბოლო წლებში სანერგეში მუშაობდნენ უმცროს მეცნიერ თანამშრომლები რ. კვიტატიანი და ს. ჩიქოვანი, ენტომოლოგი კაკაჩია და 3 ლაბორანტი.

მუშაობის პერიოდში სანერგეში შემოსული იყო 60 ათასზე მეტი ნიმუში. მათ შორის: ციტრუსოვნები – 561, სუბტროპიკული და აღმოსავლურ ხეხილოვანთა – 795, სუბტროპიკულ-ტექნიკური – 290. მასალა შემოტანილი იყო ყველა კონტინენტიდან, მაგრამ ძირითადად, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ვიეტნამიდან, ავსტრალიიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, პორტუგალიიდან, კუბიდან, სამხრეთ ამერიკიდან, თურქეთიდან და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნიდან.

პირველადი შესწავლის საფუძველზე გამოიყო ციტრუსოვანთა, თუთის ხის, კაკლის ხის, პეკანის, ლედვის და სხვა მრავალწლიანი კულტურების მთელი რიგი სამეურნეო მნიშვნელობის ჯიშები და ფორმები.

საცდელი ნიმუშების 90%-ზე მეტი ერთწლიანი კულტურები იყო. დიდ ინტერესს იწვევდა ხორბლის, ტრიტიკალეს, ჭვავის, ქერის, ეგილოფსის 27 ათასი ფორმის შესწავლა, რომელიც ძირითადად მიღებული იყო მექსიკიდან – სიმინდისა და ხორბლის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრიდან, აქედან იქნა გამოყოფილი ადრემწიფებადი, მაღალპროდუქტიული ჯიშები, რომლებიც ხასიათდებოდნენ დაავადებისა და ჩაწოლისადმი გამძლეობით, ასევე ფლობდნენ სხვა ფასეულ ნიშანთვისებებს. ნიმუშების რაოდენობით სანერგეში მეორე ადგილი ეკავათ მარცვალპარკოსნებს. გამოიცადა ლობიოს, მუხუდოს, ცერცვის, ხავერდა ცერცვის, მტრედიცერცვას (კაიანუსი), ხანჭკოლას და სხვა იშვიათი პარკოსნების 15 ათასზე მეტი ფორმა 60 ქვეყნიდან.

დადგინდა, რომ დასავლეთ საქართველოს ზონისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ზემოთჩამოთვლილი კულტურების საშუალო მწიფებად ფორმებს, რომლებიც იძლევიან

როგორც მარცვლის, ასევე მწვანე მასის მაღალ მოსავალს. გარდა ამისა გამოიყო ფორმები, რომლებიც გამოირჩევიან სამეურნეო-ფასეული თვისებების კომპლექსით და საინტერესონი არიან სელექციისა და უშუალოდ პრაქტიკული მოხმარებისათვის. სანერგის მოქმედების პერიოდში საკარანტინო შემოწმება გაიარა, შესწავლილ და გამრავლებულ იქნა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მიერ მსოფლიოს 70 ქვეყნიდან ინტროდუცირებული სიმინდის, სორგოს და ფეტვისმაგვართა 9 ათასზე მეტი ფორმა. ძირითადად მასალა წარმოდგენილი იყო ადგილობრივი რასებით კულტურების წარმოშობის გენცენტრებიდან, რომლებიც მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების ფართო დიაპაზონს ფლობდნენ. გამოიცადა ბოსტნეული კულტურების _ პომიდორის, ბადრიჯანის, წიწაკას, კიტრის, საზამთროს, ნესვის, გოგრისა და სხვათა 1100-ზე მეტი ნიმუში 50 ქვეყნიდან. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტიდან შემოსული მასალის გამოცდის გარდა, სადგური ატარებდა მნიშვნელოვან სამუშაოს თბილისის, სოხუმის, ბათუმის ბოტანიკური ბაღებისა და დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მომსახურებისთვის. აქ გაიარა კარანტინული შემოწმება მერქიანი, ბუჩქოვანი და დეკორატიული კულტურების 2 ათასზე მეტმა ნიმუშმა.

ლაბორატორიები. სადგურის არსებობის პირველი წლებიდანვე, როგორც დამხმარე, მოქმედებდა ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის, ციტო-ემბრიოლოგიის ლაბორატორიები. 1956 წელს შეიქმნა რადიობიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც შემდგომში გაერთიანდა ფიზიოლოგიის ლაბორატორიასთან. აუცილებლობიდან გამომდინარე, 1980 წლიდან სადგურზე ფუნქციონირებდა იმუნიტეტის ლაბორატორია.

1985 წელს მოხდა ლაბორატორიების გაერთიანება და მას სათავეში ჩაუდგა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ელისევი, ლაბორატორიები კი დარჩა ჯგუფების სახით.

ბიოქიმიის ჯგუფი. 1928 წელს დაფუძნდა ბიოქიმიის ლაბორატორია. ყველა მისი კვლევები ატარებდა გამოყენებით ხასიათს და ემსახურებოდა კოლექციისა და სელექციური მასალის სრულ ბიოქიმიურ დახასიათებას.

1932 წლამდე ძირითადად ეთერზეთოვანი კულტურები _ ნემსიწვერა, ლიმონის ურო, ეკვალიპტი, ქაფურის დაფნა და სხვა, ისწავლებოდა მეცნიერ თანამშრომლის ვ. დემიანოვის ხელმძღვანელობით.

1933 წლიდან, ა. პრავდოლიუბოვის ხელმძღვანელობით, დაწყებული იყო კეთილშობილი დაფნის, ქინაქინის ხის, მთრიმლავი მცენარეების და სხვადასხვა ეგზოტების ბიოქიმიური შესწავლა მოქმედი საწყისის _ ეთერზეთების, ალკოლოიდების და სხვა ნაერთების გამოკვლევით. ქინაქინის ხიდან ქინნეტის გამოყოფაზე მუშაობდა ე. ტარანი. 1934 წელს მან დაიწყო ტუნგოს ხის ცხიმისანი ზეთის შესწავლა. შესწავლის ობიექტი ასევე იყო ქონის ხე, აკაცია, ეკვალიპტები, ქინაქინის ხის და პილოკარპუსის ალკო-ლოიდები, კაუჩუკის

შემცველობაზე გამოკვლეული იყო ოქროწყვლას კოლექცია. 1936 წლიდან ბიოქიმიაზე და ალკოლოიდების გამოყოფის ტექნოლოგიაზე მუშაობა დაიწყო დ. სნეგირიოვი.

1937 წელს ციტრუსების მსხმოიარობაში შესული სახეობებისა და ჯიშების ქიმიური შემადგენლობის შესწავლას შეუდგნენ, ხოლო 1938-1939 წლებში – სუბტროპიკული ხეხილოვნების. დიდ სამამულო ომამდე ლაბორატორიის მიერ შესწავლილი იქნა ტუნგოს თესლის გაღივების ბიოქიმია, სამამულო პაპაინის აქტივობა, მიეცა ქიმიური დახასიათება ბატატის კოლექციის ბოლქვებს, საკვებ-სიდერაციულ კულტურებს, შეთავაზებულ იქნა ქინაქინის გამოყოფის ტექნოლოგიური სქემა და სხვა.

ომის შემდგომი წლები, ციტრუსოვნებისა და სუბტროპიკული ხეხილოვნების ნაყოფთა კვლევის გარდა, დ. სნეგირიოვის (განყოფილების უფროსი) მიერ, ისწავლებოდა ბიოქიმიური ცვლილებები ბატატის ტუბერწარმოქმნისა და შენახვის პროცესში, kolhikum-ის სხვადასხვა ჯიშებიდან კოლხიციანის მიღება. ასევე განხორციელდა ზრდის სტიმულატორების (ფიტოჰორმონების) სინთეზი. დაიწყო მსხმო-იარობაში შესულ ციტრუსოვანთა ჰიბრიდებისა და სუბტროპიკული ხეხილოვნების ნაყოფების ქიმიური შემადგენლობის შესწავლა. პირველად იქნა დადგენილი ლიმონის მერქნის ქიმიური შემადგენლობა მალსეკოთი დაავადებასთან დაკავშირებით.

1958 წლიდან ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. გერ-შტეინი. მანამდე ლაბორატორიის მუშაობა თუ ატარებდა გამოყენებით ხასიათს, აქ უკვე მისი მუშაობა გამოიყო ცალკე თემად – «სადგურის კოლექციური და სელექციური მასალის ბიოქიმიური შესწავლა», სადაც შედიოდა ციტრუსოვნების, ხეხილოვანთა, კაკლოვნების და ტექნიკური კულტურების ნაყოფებისა და მცენარის სხვა ნაწილების ბიოქიმიური კვლევა. შემდგომ წლებში დამთავრდა კვლევები ფორთოხლის დამწიფებისა და შენახვის ბიოქიმიაზე, შესწავლილი იქნა ნარინჯოვანთა ნაყოფებისა და ფოთლების ძირითადი ფლავონური გლიკოზიდები, ფოთლების ამინომ-ჟავების შემადგენლობა. 1962 წლიდან ისწავლებოდა პარკოსნები, სხვადასხვა ბოსტნეული და სანელებელი კულტურები, მათ შორის სუბტროპიკულები – კოჭა და ბამია. მოგვიანებით დაიწყო მანდარინის, ფეიჰოას და სხვა კულტურების ნაყოფების ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გაღრმავებული შესწავლა. ლაბორატორიის მიერ ათვისებულ იქნა მეთოდისა და ციტრანჟების ყვავილებიდან ექსტრაქციის გზით მიღებული იქნა ეთერზეთი, შემდგომი გაწმენდით და დახასიათებით.

1979 წლიდან ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კირილოვა. მუშაობა ტარდებოდა თემაზე – «მასიური ანალიზის ექსპრეს-მეთოდების დამუშავება ბიოქიმიური კვლევების დასაჩქარებლად და კულტურული მცენარეებისა და მათი გარეული წინაპრების შესწავლის მასშტაბების გასაზიარებლად ხარისხზე სელექციისათვის წყაროების გამოვლენის მიზნით». ლაბორატორიაში მუშაობდნენ ქიმიურ

მეცნიერებათა კანდიდატი ი. კარბა, უმცროს მეცნიერ თანამშრომელი ა. კაჩურინა და ლაბორანტი.

ძირითადი ბიოქიმიური დახასიათებისათვის ყოველწლიურად ისწავლებოდა ციტრუსების, სამხრეთული ხეხილის, სუბტროპიკული, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების 500-მდე ფორმის ნაყოფები. მრავალწლიანმა კვლევამ შესაძლებელი გახადა ბიოქიმიის მხრით გამოყოფილიყო უკეთესი კოლექციური და სელექციური ფორმები ხარისხზე შემდგომი სელექციისათვის.

ფიზიოლოგიის ჯგუფი. სადგურის ორგანიზების პირველ წლებშივე შეიქმნა ფიზიოლოგიის ლაბორატორია. ბ. მომკოვის ხელმძღვანელობით ისწავლებოდა ფოტოპერიოდების გავლენა ციტრუსოვნებზე, ქინაქინის ხეზე, ტუნგზე, ჩაიზე და გერანზე. მუშავდებოდა ქინაქინის ხის მოსავლიანობისა და ყინვაგამძლეობის ამაღლების ხერხები. 1937 წლიდან ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ი. კოჩერჟენკო. კვლევები გაიშალა ზრდის სინტეტიკურ ნივთიერებათა ზემოქმედებაზე მრავალწლიანი სუბტროპიკული მცენარეების ფესვების წარმოქმნაზე, ზრდასა და მოსავლიანობაზე. 1945 წლიდან ისწავლებოდა ტუნგოს ხის ხმობის მიზეზები (ვ. მირიმანიანი), ციტრუსების მნიშვნელოვანი სახეობებისა და ლიმონის ჯიშების ფიზიოლოგიური თვისებები, რომლებიც განსხვავებულ ყინვაგამძლეობას განაპირობებდნენ აფხაზეთის პირობებში (ტ. ქუჩულორია). დადგინდა, რომ ზაფხულში ტოტების გაჭიანურებული ზრდა ეწინააღმდეგება საშემოდგომო ზრდის განახლებას, ფოთლების დაძველებასთან ერთად იზრდება წყალშეკავების უნარი, რომელიც განაპირობებს ყინვაგამძლეობის ამაღლებას. თუმცა ძლიერი ინსოლაცია ზამთარში მნიშვნელოვნად აძლიერებს დაბალი ტემპერატურის დამაზიანებელ მოქმედებას ციტრუსოვან მცენარეებზე.

1953-1975 წლებში ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ქ. ფაჩულია. ისწავლებოდა ფოტოპერიოდიზმის, მოსვენების სიღრმის და ციტრუსოვან მცენარეთა მიკროელემენტებით შესხურების ზემოქმედება მათ ზრდა-განვითარებაზე.

1956 წელს სადგურზე ორგანიზებულ იქნა რადიობიოლოგიის ლაბორატორია, სადაც, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბახტაძის ხელმძღვანელობით, ტარდებოდა კვლევები – ფიზიოლოგიური პროცესები რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენებით: ცალკეული სამეურნეო კულტურების მიერ მიწიდან და ჰაერიდან რადიოაქტიური წყალბადის შთანთქმის განსხვავების განსაზღვრა, ფოთლების აირცვლა, ციტრუსოვან მცენარეებზე რადიოაქტიურ ნივთიერებათა გადაადგილება და ლოკალიზაცია, რადიოაქტიური მტვრის გავლენა ნუცელარული ჩანასახის წარმოქმნაზე, საძირის და სანამყენის ურთიერთქმედება და ა.შ. შემდგომში რადიობიოლოგიის ლაბორატორიაში მუშაობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის განყოფილების გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის

(ВАСХНИЛ) წვერ-კორესპონდენტის ვ. რაზუმოვის ხელმძღვანელობით ტარდებოდა მუშაობა – სხვადასხვა სუბტროპიკულ მცენარეებში ფოტოპერიოდის ღრმა კვლევაზე (კ. ვარდანია), ციტრუსოვანთა მტვერზე თერმული და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით მიზანმიმართულად ფორმათწარმოქმნის შესაძლებლობების შესასწავლად (ნ. თოლორაია) და სხვა. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურებისა და ვენახის განყოფილების გამგის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის გ. შლიკოვის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევები დამაიონიზირებელი გამოსხივების ზემოქმედებით ციტრუსოვანთა შეცვლილი ფორმების მისაღებად (ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სიხარულიძე).

შედეგად ნაპოვნი იქნა პირდაპირი კორელაციური კავშირი ინტენსიურ აირცვლას, მცენარეში საკვებ ნივთიერებათა გადაადგილების სისრწაფეს, ზრდის პროცესების ადრეულ შეჩერებას, მერქნის სიმწიფის ხარისხსა და მცენარის შედარებით ყინვაგამძლეობას შორის. შემდგომში გ. ჩხეიძის კვლევებში (1962წ.) ლიმონზე და იჩანგენზისზე და ი. ჭანიშვილის (1969წ.) – ციტრუსოვანთა სხვადასხვა ჯიშზე ეს კანონზომიერებანი დადასტურდა და ნაპოვნიქნა ახლებიც: ის, რომ სამხრეთული წარმოშობის მცენარეები დღის ხანგრძლივობის გაზრდის შემთხვევაში აჩქარებს განვითარებას, ხოლო ჩრდილოეთის – ანელებს მას; დადგენილია, რომ მტვერზე თერმული ფაქტორის ზემოქმედებისას სხვადასხვა ტენიანობასთან შეხამებით მიიღწევა ჰიბრიდულ თაობაში რიგი მემკვიდრეობითი ნიშნების მართვის შესაძლებლობა; ციტრუსოვნებში ფორმათწარმოქმნის პროცესის დამაჩქარებელ ფაქტორად წარმატებით შეიძლება გამოყენებულიქნას რადიაციის მოქმედება როგორც გარე დასხივების, ასევე იზოტოპების ორგანიზმში შეყვანის გზით; ნაპოვნია, თესლნერგების ისეთი გენეტიკური ცვლილებების გამომწვევი დოზები, რომელიც სახეობათა თვისებების ფარგლებს სცილდება.

შემდგომში ფიზიოლოგიისა და რადიობიოლოგიის ლაბორატორიები გაერთიანდა და მას ხელმძღვანელობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბახტაძე. მუშაობამ მიიღო ფიზიოლოგო-ეკოლოგიური მიმართულება. ისწავლებოდა საკითხთა ფართო წრე, დაკავშირებული გარემოს ექსტრემალურ ფაქტორებზე მცენარის გამძლეობის თეორიული საფუძვლისა და გამძლეობის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების დამუშავებასთან, ასევე მცენარეთა მსოფლიო კოლექციის დახასიათებასთან ყინვისადმი, სიცხისადმი, გვალვისადმი და ხორშაკისადმი გამძლეობაზე.

დადგინდა, რომ ყინვაგამძლეობა – გენეტიკურად განმტკიცებული ნიშანია, მაგრამ მისი პოტენციური შესაძლებლობები განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში სხვადასხვანაირად ვლინდება. სუბტროპიკებში ისინი ვლინდება სრულად. ზემოქმედების სხვადასხვა ფაქტორი – თერმული, რადიაციული, ქიმიური და სხვები – მცენარეში იწვევენ მსგავს საპასუხო რეაქციებს, მიმართულს ცხოველუნარიანობის შენახვასა და ნივთიერებათა

ცვლის მუდმივობაზე. ხანმოკლე სტრესული ზემოქმედება იწვევს შიდაუჯრედული სტრუქტურების დაზიანებას, რომლებიც შემდგომში აღდგებიან. ხანგრძლივი ექსტრემალური პირობები იწვევს განვითარების ფენოფაზების მიმდინარეობის ვადებისა და ინტენსივობის ცვლილებებს, ყლორტის ნაზარდის შემცირებას, წყალშეკავების უნარის ამალებას, მერქნის მომწიფების გაუარესებას, მოსავლიანობის დაკლებას და მცენარის დაღუპვასაც კი.

ყინვაგამძლეობის დიაგნოსტიკის მეთოდების სავსე, ლაბორატორიულ-სავსე და ლაბორატორიული კვლევებისა და ახლის შემუშავების შედეგად საუკეთესოდ მიჩნეულიქნა ტოტების ელექტროგამტარობა (იმპედანსის) (გორჩაკოვა და კატამახინა 1978წ.) და მაცივრის კამერაში ტოტების გაყინვის სახემეცვლილი მეთოდი (ე. მოროზი, 1938, 1939წწ.; ზ. ლატარია, 1954, 1956წწ. ი. ბახტაძე, 1984წ.). ისინი დაინერგა პრაქტიკაში. მთავრდებოდა ციტრუსოვანი კულტურების მსოფლიო კოლექციის კვლევა ყინვაგამძლეობაზე და იწყებოდა სიცხეგამძლეობაზე.

ციტო-ემბრიოლოგიის ჯგუფი. 1932 წელს შეიქმნა ლაბორატორია და მას 1947 წლამდე ხელმძღვანელობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლაპინი. კვლევის ძირითადი მიმართულება დაკავშირებული იყო ციტრუსების კარიოლოგიურ შესწავლასთან, მათ გენეტიკო-სელექციური მნიშვნელობის დადგენასთან. ჩატარებული მრავალწლიანი ცდების შედეგად გარკვეულიქნა პოლიპლოიდური ფორმების მიღების კანონზომიერება სასურველი მემკვიდრეობითი საწყისების პრევალირებით და პოლიპლოიდის გამოყენების პერსპექტივა ციტრუსოვნების ახალი ყინვაგამძლე, სამეურნეო-ფასეული ფორმების შექმნის საქმეში.

1947-1957 წლებში ლაბორატორიის მუშაობას ხელმძღვა-ნელობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფ. მამფორია. ისწავლებოდა ციტრუსების სქესობრივი და ნუცელარული ჩანასახების წარმოქმნისა და განვითარების თავისებურებანი, ირკვეოდა ციტრუსოვანთა მრავალჩანასახიანი და ერთჩანასახიანი ფორმების ურთი-ერთქმედება, მუშავდებოდა სამეურნეო-ფასეული ფორმების მიღების მეთოდები.

1958-1977 წლებში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ი.ს. კაპანაძის ხელმძღვანელობით გრძელდებოდა ციტრუსებში განაყოფიერებისა და ადვენტიური ჩანასახების წარმოქმნის პროცესის კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა ციტრუსებში სპოროგენეზისა და განაყოფიერების თავისებურებანი, შესწავლილიქნა ციტრუსოვანთა სახეო-ბებში როგორც მრავალემბრიონობის გამოვლენის ხარისხი, ასევე მრავალჩანასახიანობის მემკვიდრეობითობის ხასიათი ერთ – და მრავალჩანასახიანი ფორმების შეჯვარებისას.

1978 წლიდან ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ელისევი. მასთან მუშაობდნენ უმცროს მეცნიერ თანამშრომლები გ. გვასალია, ნ. ეშბა და ლაბორანტი. მიმდინარეობდა ციტრუსოვანთა სხვადასხვა სახეობისა და მათ

ჰიბრიდებში მიკროსპოროგენეზის დროს მეიოზის თავისებურებათა შესწავლა; ისაზღვრებოდა ციტრუსების, სუბტროპიკული, სამხრეთული ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების მტვრის ფუნქციონალური უნარი აფხაზეთის კლიმატურ პირობებში; დგინდებოდა ნარინჯოვნების კოლექციური და სელექციური ფორმების ქრომოსომების რაოდენობა; ისწავლებოდა ნარინჯოვანთა სხვადასხვა გვარისა და სახეობის გენერატიული და ვეგეტატიური კვირტების დიფერენციაცია.

იმუნიტეტის ჯგუფი. სადგურზე მოგროვილმა ციტრუსოვანთა დიდმა კოლექციურმა მასალამ აუცილებელი გახადა სხვადასხვა ჯიშის, ნარინჯოვნებისა და გეოგრაფიული ჯგუფების გარკვეული პარაზიტებისადმი რეაქციის გეგმაზომიერი შესწავლა. ამასთან დაკავშირებით 1980 წელს შეიქმნა იმუნიტეტის ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი მ. სურმავა. მუშაობა მიდიოდა თემაზე: «ციტრუსოვან კულტურათა გენოფონდის შესწავლა იმუნოლოგიური ნიშნებით და ავადმყოფობებისა და მავნებლებისადმი გამძლეობის წყაროების გამოყოფა სელექციაში გამოსაყენებლად და უშუალოდ წარმოებისათვის».

ლაბორატორიაში კვლევა პირველ რიგში მიმართული იყო სახეობებსა და ჯიშებში, მცენარეთა ცალკეულ რასებში იმუნიტეტის განაწილების სისტემატიურ შესწავლაზე ძირითად დაავადებებთან მიმართებაში, მათ შორის მალსეკოზეც. იმუნიტეტის ლაბორატორიის მიერ პირველად დამუშავდა 9-ბალიანი შკალა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ციტრუსოვანთა გენოფონდის საველე შეფასება ყველა დაავადებისა და მავნებლებისადმი. დასახასიათებლად საველე პირობებში კვლევას გადიოდა ციტრუსოვანთა კოლექციის 500-ზე მეტი ფორმა, მოწმდებოდა მათი გამძლეობა ოთხ სოკოვან პათოგენზე და მწერების რვა სახეობაზე. სამწლიანი კვლევის საფუძველზე გამოიყო საინტერესო ფორმები სელექციური მუშაობისათვის

ციტრუსების გამორჩეული ფორმების ღრმა კვლევებისათვის ლაბორატორიულ პირობებში ხდებოდა მათი ინფიცირება მალსეკოს ყველაზე საშიშ პათოგენზე. ამასთან არა მარტო ლიმონი, არამედ ციტრუსოვანთა ყველა სახეობა, ასევე მათი შორეული წინაპრები ამა თუ იმ ხარისხით ექვემდებარებოდა ხელოვნურ დასენიანებას. განსხვავება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რაც იძლეოდა სელექციის პერსპექტივას შეჯვარების სხვადასხვა კომბინაციების დროს.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის საცდელი სადგურის პარკს საფუძველი ჩაეყარა 1910 წელს კერძო მესაკუთრის კუქსის მიერ. 1926 წელს, ინტროდუქციული სანერგის ორგანიზებასთან დაკავშირებით, პარკი მის მფლობელობაში გადავიდა. 1930 წლიდან დაიწყო პარკის შევსება მერქნიანი და ბუჩქოვანი ჯიშის ახალი სახეობებით. საზღვარგარეთიდან ახალი მასალის შემოტანა ხდებოდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მეშვეობით; სადგურის ინტროდუქციულ-კარანტინის სანერგის

მიერ კი ქვეყნის სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებთან გაცვლის გზით, ასევე სადგურის მიერ ამიერკავკასიის რაიონების, ყირიმის, მოლდავეთის და სხვა რესპუბლიკების ექსპედიციური გამოკვლევის დროს.

პარკის ნარგაობა განთავსებული იყო სადგურის ცენტრალურ განყოფილებაში, სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და ეკავა დაახლოებით 4 ჰა. კოლექცია მერქნიანების, ბუჩქოვნების, პალმების, ბამბუკების და პარკის ყვავილოვანი მცენარეების 260 სახეობას შეადგენდა, რომლებიც 135 გვარსა და 64 ოჯახს განეკუთვნებოდა. პარკში წარმოდგენილ სახეობათა უმრავლესობა წარმოშობით ეკუთვნოდა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებს, ხმელთაშუაზღვისპირეთს, ნაწილი მოზიდული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებიდან და ავსტრალიიდან.

პარკში იყო ისეთი ძვირფასი და იშვიათი მცენარეები როგორცაა: *Loropetalum chinensis*, *Cinnamomum sicboldii*, *Emmenopteris henry*, *Viburnum tomentosum*, *Quercus variabilis* და სხვა. აქ იზრდებოდნენ მცენარეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ძვირფასი პროდუქციის – მერქნის, ფისის, ბალზამის, ეთერზეთების, საპონინის, ბოჭკოს, ასევე სამკურნალო და სანელებელი ნედლეულის მოცემა შეეძლოთ. ხეებისა და ბუჩქების უმრავლესობა გამოიყენებოდა როგორც დეკორატიული.

პარკს ჰქონდა სამეცნიერო-შემეცნებითი მნიშვნელობა. პარკის მრავალფეროვნებასა და გასაოცარ ფლორას აღტაცებაში მოჰყავდა ტურისტები, დამსვენებლები და სხვა უამრავი მნახველი, რომლებიც მას ზამთარ-ზაფხულ არ აკლდა.

სამეცნიერო წარმატებების დანერგვა წარმოებაში. თანამშრომლები სადგურის წარმატებებს ფართო პროპაგანდას უწევდნენ სხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და წარმოებებში. მოხსენებებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, ყრილობებსა და კონგრესებზე. ასევე რაიონულ, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში, სადაც სადგურის წარმატებები არაერთგზის იყო დემონსტრირებული, რომლებიც ბევრჯერ აღინიშნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს და ვერცხლის მედლებით. 1945 წლიდან სადგურის მეცნიერების მიერ 30-მდე სქელტანიანი წიგნი და 800-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა ქვეყნის სხვადასხვა, მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო გამოცემებში. ასევე იბეჭდებოდნენ ადგილობრივ, საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო პერიოდულ გამოცემებში.

სადგურის მასალაზე დაცულია 10 სადოქტორო და 40-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. ის დიდ დახმარებას უწევდა პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს, საიდანაც ყოველწლიურად უამრავი სტუდენტი და ასპირანტი ჩამოდიოდა პრაქტიკაზე სადიპლომოდ თუ საასპირანტო თემების დასამუშავებლად. აქ ასევე გადიოდნენ

პრაქტიკას სტუდენტები საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებიდან და ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სადგურის ხშირი სტუმრები იყვნენ მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან – ინდოეთიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან და სხვა. ისინი ეცნობოდნენ სადგურზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მეთოდებს, აქ თავმოყრილი კოლექციის შემადგენლობას და მნიშვნელობას, წარმატებებს სუბტროპიკული კულტურების ინტროდუქციის, სელექციის, ბიოლოგიის სფეროში.

სადგური ყოველწლიურად გადასცემდა რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა რეგიონის კოლმეურნეობებს, მეურნეობებს, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და მოყვარულებს დარაიონებულ და რეკომენდებულ საუკეთესო ჯიშებს, ფორმებსა და სახეობებს – ციტრუსების, სუბტროპიკული, სამხრეთული ხეხილოვნებისა და კაკლოვნების, ასევე სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების 90 ათასამდე ნერგს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულებით, სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში და სუბტროპიკული კულტურების მაღალმოსავლიანი ჯიშების მიღებასა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში ფართოდ დანერგვის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის – მემცენარეობის ნ. ვავილოვის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების სოხუმის საცდელი სადგური დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. სწორედ ამ ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე იყო მცენარეული რესურსების გენოფონდის ნ. ვავილოვის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ისტორიის მქონე სამეცნიერო ორგანიზაციის წარსულზე, მის მიერ გავლილ გზაზე, მეცნიერულ პოტენციალსა და მცენარეულ რესურსებზე, არამც თუ მომავალმა თაობამ, დღესაც კი ცოტა ვინმემ თუ იცის საქართველოში.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა.